განახლებულია: 30.09.2024

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფინანსები და საბანკო საქმე/Finance and Banking |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ფინანსების მაგისტრი/Master of Finance |
| პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი | ასიე ცინცაძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: asie.tsintsadze@bsu.edu.ge |
| პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა,<br>სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1) | 120 ECTS |
| სწავლების ენა | ქართული ენა |
| საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო ენა - B2 დონე და სპეციალობა;<br>✓ მობილობის წესით ჩარიცხვა;<br>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | ✓ მოამზადოს საფინანსო-საბანკო სფეროსათვის ღრმა თეორიული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ჩაატაროს ფინანსური ანალიზი და მიიღოს მონაწილეობა კომპანიის საქმიანობის დაგეგმვაში, შეძლოს კორპორაციისა და ბანკის საქმიანობის ფინანსურ შედეგზე მოსალოდნელი რისკების რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;<br>✓ შეძლოს სამეცნიერო კვლევის ორგანიზაცია, პრობლემის დასმა და გადაწყვეტა. |
| სწავლის შედეგები | ✓ ფინანსური ბაზრის მონაწილე ეკონომიკურ სუბიექტებს შორის აყალიბებს ეფექტიან ურთიერთკავშირს არსებული ვითარების ანალიზის ჩატარებისა და გადაწყვეტილებისმიღებისათვის; ბიზნეს პროცესების ანალიზისა და დაგეგმვისათვის გამოიყენებს მათემატიკური მოდელირების მეთოდებს;<br>✓ გამოიყენებს მიღებულ ცოდნას საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ფუნქციონირების წესების, საერთაშორისო დაბეგვრისა და საერთაშორისო ფინანსების მართვის სპეციფიკის გაანალიზებისათვის; ფინანსური კრიზისების პირობებში ახდენს საბანკო რეგულირების თეორიისა და პრაქტიკის შესახებ შესაბამისობის დადგენას; მართავს საწარმოთა ფინანსურ რისკებს , ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანალიზს;<br>✓ გაიაზრებს საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოთა ფინანსური მართვის სტრატეგიულ ასპექტებს, ამზადებს ანგარიშგებათა კომპლექსურ–დეტალურ ანალიზს, ახდენს პროგნოზირებას და ფინანსური მდგომარეობის სტრატეგიული დონის კონტროლს ; |

| | |
|---|---|
| | ✓ ახდენს არსებული ფინანსური კრიზისისა და მისი გამომწვევი რისკ ფაქტორების იდენტიფიცირებას, ქვეყნისა და საბანკო სისტემაში არსებული პოსტკრიზისული პერიოდების შეფასებას; საფინანსო - საბანკო სფეროსათვის დამახასიათებელი რისკების ფინანსური შედეგების შეფასებას;<br>✓ მართვის ოპტიმალური მეთოდების შერჩევას, საფინანსო და ეკონომიკური ბიზნეს პროცესების მართვაში მათემატიკური მოდელების გამოყენებას;<br>✓ ამზადებს ინვესტიციების ეფექტიანობის ანალიზს. მონაწილეწობს პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების განხორციელების პროცესში. |